



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლალიძე მიტროფანე ერმალოს ძე

ლალიძე მიტროფანე ერმალოს ძე [22.VI (4.VII). 1869, სოფ. ჭოლევი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, - 2. I. 1960, თბილისი], უაღკოპოლო სასმელების წარმოების ფუძემდებელი საქართველოში. ლ-მ პარიზში შეისწავლა (1902) ხილეულის წყლის წარმოების მეთოდი, ტექნოლოგია და შემდეგ დანერგა თავის წარმოებაში; პირველმა გამოიყენა წარმოებაში საქართველოში. სხვადასხვა მიკრორაიონის ხილი ნატურალური უაღკოპოლოლო სასმელების დასამზადებლად: შეიმუშავა ხილის სიროფის დამზადების ორიგინალური მეთოდი, ხილის ესენციების რეცეპტურა და მიღების ტექნოლოგია, რ-იც საფუძვლად დაედო უაღკოპოლო სასმელების წარმოების განვითარებას მთელ სსრკ-ში. ლ-ის ინიციატივით ქუთაისში აშენდა ელექტროსადგური, რ-მაც პირველად მისცა ქუთაისს ელექტროგანათება (1904); იმავე წლებში ლ-მ საფრანგეთიდან მიიღო დიდი სიმძლავრის მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად, რ-იც დამონტაჟდა ქუთაისში, ელექტროსადგურის გვერდით. აქედან მარაგდებოდა ქუთაისის და ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობა. ლ. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილ. უაღკოპოლო სასმელების ქ-ნას (1960-მდე). მის მიერ დამზადებულ სასმელებს მიღებული აქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები საერთაშ. გამოფენებზე (1913-14, პეტერბურგი, ვენა და სხვ.). დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: ს ი გ უ ა ა., მიტროფანე ლალიძე, თბ., 1980; ქ ა რ ი ა ვ ა ლ., გამოჩენილ ბიზნესმენტა სამეწარმეო ცხოვრებიდან, თბ., 2006.
